



# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

## საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფილი



საქართველოს ზრდის,  
ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის  
სამინისტრო



დაავადებათა პრევენციისა და  
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის  
ქრონოლოგიული ცენტრი



# შესავალი

ქვეყნის მოსახლეობის, ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის მდგომარეობის მიღწევა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის რეგულარული გაძლიერებითაა შესაძლებელი.

საზოგადოება და გარემო ჩვენს ირგვლივ მუდმივად იცვლება, რაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანებისა და საკითხების, ჯანმრთელობისადმი მიდგომების და შესაბამისად, ინტერვენციების ადეკვატურ ცვლილებებს მოითხოვს. მოსახლეობის მომსახურება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მორგებული უნდა იყოს ამჟამად არსებული, სამომავლო შესაძლო საფრთხეებსა და რისკებზე. სერვისებმა ოპტიმალურად უნდა უპასუხონ ცვლილებებსა და გამოწვევებს.

ცნობილია, რომ დღეს არსებული სირთულეები/პრობლემები პირდაპირ პროპორციულია იმ ცვლილებებისა, რომელიც დაკავშირებულია გლობალიზაციის თანმდევ მოვლენებთან: დასაქმების პრობლემები, უთანასწორობა სამედიცინო მომსახურების მიღებაში, მოსახლეობის დაბერება, მიგრაცია, ურბანიზაცია, გარემოსდაცვის სფეროში არსებული პრობლემები კლიმატის ცვლილება და ა.შ. სწორედ ამ ფაქტორების მიერ არის გამოწვეული ცვლილებები მოსახლეობის საცხოვრებელ გარემოში, ცხოვრების წესსა და დაავადების აღმოცენება-მიმდინარეობა-გავრცელებაში. ისიც ცნობილია, რომ სიკვდილიანობის 86% გამოწვეულია ქრონიკული მდგომარეობებით, როგორიცაა: კარდიოვასკულური დაავადებები, კიბო, ქრონიკული რესპირატორული დაავადებები, ფსიქიკური დარღვევები და შაქრიანი დიაბეტი. ამავდროულად კვლავ სახეზეა რისკები ახლად აღმოცენებადი, „უკვე დავიწყებული“ ინფექციური დაავადებებისა და ჯანმრთელობის გაუთვალისწინებელი მდგომარეობის შესახებ.

## რას გვულისხმობთ საზოგადოებრივ ჯანდაცვაში?

კლასიკურ ლიტერატურაში საზ.ჯ/დ განისაზღვრება, როგორც “ხელოვნება და მეცნიერება, რომელიც საზოგადოების ორგანიზებული ძალისხმევით უზრუნველყოფს დაავადების პრევენციას, სიცოცხლის გახანგრძლივებას და ჯანმრთელობის ხელშეწყობას” (Acheson, 1988; WHO, 2011b).

სამოქმედო დოკუმენტი, ევროპის სამოქმედო გეგმა (EAP-2012) “საზ.ჯ/დ სერვისების გაძლიერებისა და გაფართოებისთვის” ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონალური კომიტეტი მე-60 სესიის რეზოლუციით წევრ ქვეყნებს მოგვიწოდებს - 2020 წლისთვის ჩამოყალიბდეს პოლიტიკის ისეთი ახალი ჩარჩო, რომელიც თანმხვედრი იქნება საზ.ჯ/დ 10 ძირითად (EPHOs-10) ოპერაციულ ფუნქციებთან. აღნიშნული გეგმა გულისხმობს მოსახლეობის ჯანმრთელობის რეალური მდგომარეობის შეფასებას და საზ.ჯ/დ ძლიერი და მოცულობითი სერვისებისა და ინტერვენციების დაგეგმვას. რა ფუნქციებია ეს ?

## საზოგადოებრივი ჯანდაცვის 10 ძირითადი (EPHOs) ოპერაციული ფუნქციები:

1. დაკვირვება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე;
2. ჯანმრთელობის რისკებსა და საგანგებო სიტუაციებზე მონიტორინგის განხორციელება და სათანადოდ რეაგირება;
3. ჯანმრთელობის დაცვა, მათ შორის გარემოსდაცვითი, საოკუპაციო, სურსათის უვნებლობა და სხვა;
4. ჯანმრთელობის ხელშეწყობა, მათ შორის ქმედება, რომელიც შეეხება სოციალური დეტერმინანტებისა და ჯანმრთელობის უთანასწორობას;
5. დაავადების პრევენცია, დაავადების ადრეული გამოვლენის უზრუნველყოფა;
6. ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მმართველობის უზრუნველყოფა
7. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს საკმარისი და კომპეტენტური სამუშაო ძალით უზრუნველყოფა;

8. მდგრადი ორგანიზაციული სტრუქტურები და დაფინანსების უზრუნველყოფა;
9. ჯანმრთელობისთვის საჭირო ადვოკატირების, კომუნიკაციის და სოციალური მობილიზაციის უზრუნველყოფა;
10. საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევა პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ ინფორმირების მიზნით;

როგორც ჩანს, სამოქმედო გეგმა და ძირითადი ოპერაციული ფუნქციები შინაარსობრივად ხელს უწყობენ ჯანდაცვისა და კეთილდღეობის მდგრად განვითარებას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტერვენციების გაძლიერებას და უთანასწორობის შემცირებას.

რეალობამ წარმოაჩინა, რომ საზ.ჯ/დ ჯანდაცვის 10 ძირითადი ოპერაციული ფუნქციების განსახორციელებლად ყველაზე ეფექტური და ქმედითი მეთოდი სისტემური და ინტეგრირებული მიდგომაა. ეს ფუნქციები პირობითად 2 ჯგუფში განლაგდება: ძირითადი EPHOs ფუნქციები, რომლებიც საჭიროებენ ჯანდაცვის მუშაკთა უნარებსა და გამოცდილებას და EPHOs “დამხმარე”, ხელშეწყობი ფუნქციები. გამოსაყოფია საზ.ჯ/დ დამატებითი (1, 2, 10) კლასტერიც, რომელიც მონიტორინგს, მეთვალყურეობასა და კვლევებს ეფუძნება. მომსახურების მიწოდების პროცესში ძირითადი ფოკუსი ჯანმრთელობის ხელშეწყობაზეა მიმართული, ჯანმრთელობის დაცვასა და დაავადებათა პრევენციაზე (EPHOs 3, 4 და 5). “დამხმარე” (EPHOs 6-10) კი მოიცავს მმართველობის გაძლიერებას, სამუშაო ძალის განვითარებას, დაფინანსებას, გაუმჯობესებულ კომუნიკაციასა და კვლევას, რომელიც მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობებთან და ინტერსექტორული თანამშრომლობითაა შესაძლებელი.

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისები შეიცავს რამდენიმე საკვანძო საკითხს:**

1. **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესაძლებლობებისა და მომსახურების მიმოხილვა:**
  - ჯანმრთელობის დაცვის სერვისების გაძლიერება ჯანდაცვის ხელშეწყობის, დაავადებების პრევენციისა და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების სრულყოფის გზით;
  - სერვისის მიწოდების მხარდასაჭერად, ჯანდაცვის სექტორის ჩართვა, მმართველობის განვითარებისა და გაძლიერების საჭიროება, სამუშაო ძალის განვითარება, დაფინანსების გაზრდა და კომუნიკაციის შემდგომი განვითარება;
  - EPHO-ს მიწოდების ინსტიტუციური მოდელების წინასწარი მიმოხილვა. ჯანდაცვის სექტორის ბიუჯეტიდან დღეისთვის მხოლოდ 1-დან 3%-მდე იხარჯება პრევენციაზე. დაავადებათა მკურნალობისა და პრევენციის დაბალანსება კი, ჯანმრთელობის გამოსავლების გაუმჯობესების ყველაზე ეფექტური საშუალებაა.
  - უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჯ/დ მომსახურების მდგრადი დაფინანსება გრძელვადიანი ეფექტურობის დაგეგმვისა და მიწოდების მიზნით. მეთოდები შეიძლება შეიცავდეს ფინანსურ სტიმულებს ან გადასახადებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დანიშნულებისთვის.
2. **საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკისა და კანონმდებლობის ინსტრუმენტები:**
  - ეფექტური საკანონმდებლო ინსტრუმენტების ადვოკატირება - „იყიდე საუკეთესო“, მომსახურება და ინტერვენციები არაგადამდები დაავადებებისთვის;
  - სამართლებრივი მიდგომები დაბალანსებულია დარგთაშორისი პოლიტიკით, რომლებიც ქმნიან ჯანსაღი ცხოვრების პირობებს. მმართველობის გაძლიერება ხელს უწყობს კანონებისა და რეგულაციების ეფექტიანად განხორციელებას და ანგარიშვალდებულების მექანიზმის გაძლიერებას ერთდროული საქმიანობისთვის.

ეს საკითხები მიგვანიშნებენ, თითოეულ ადამიანს, ყველა უწყებასა და სამსახურს შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ მიმართულ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საქმიანობაში. მათ შორის:

**ადგილობრივი თვითმმართველობას** - ახლებური მიდგომების პოლიტიკის განახორციელებით უზრუნველყოს პარტნიორობის განვითარება ადგილებზე. ამ თანადგომით შესაძლებელია

ჯანმრთელობის განმსაზღვრელ კონკრეტულ დეტერმინანტებზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა. ხელი შეუწყოს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც შეესაბამება მუნიციპალიტეტში უსაფრთხოდ ცხოვრებისა და შემოქმედებითი საქმიანობის პირობებს. ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველყოს მდგრადი და საკმარისი ფინანსების გამოყოფა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესებისათვის. დაეხმაროს საზ.ჯ/დ ადგილობრივი მმართველობის სისტემებს უზრუნველყონ ყველა სექტორის ვალდებულებების შესრულების კონტროლი. ის ფაქტი რომ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ თანამშრომლობით განახორციელონ და აღასრულონ გარკვეული ქმედებები განახლებულ საზ. ჯ/დ დაკავშირებული კანონმდებლობის პირობებში - ჯანდაცვითი ინტერვენციების განხორციელებისას ეფექტური შედეგების გარანტიაა.

**ყველა მუნიციპალურ სექტორს** - დამგეგმავ, დამსაქმებელ, განათლების, კულტურისა და სპორტის, სოფლის მეურნეობის, სამართალდამცავ უწყებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს შეუძლიათ ფართე მონაწილეობის მიღება საზ.ჯ/დ სამსახურების მიერ ინიცირებულ კეთილდღეობის პროგრამების განხორციელებასა და ხელშეწყობაში. ყველას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს იმ გარემოს ჩამოყალიბებაში, რომელშიც მოსახლეობა ცხოვრობს და რომელიც განსაზღვრულია ჯანმრთელობის მხარდასაჭერად. ამით შესაძლებელია შემცირდეს უთანასწორობა მომსახურებაში და ხელი შეეწყოს დამცავი ფაქტორების გაძლიერებას, რაც გარანტია იქნება იმისა, რომ ხანდაზმულობაში ადგილობრივ საზოგადოებას უსაფრთხო და სტაბილურ ცხოვრების საშუალება შეექმნება.

**საკუთრივ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესიონალებს ძლიერი მხარდაჭერით, მართვის ახალი ფორმების შეთავაზებით:**

ა) შეუძლიათ ქმედითი ცვლილებების მიღწევა, მომსახურების გაძლიერება. რელევანტური ინფორმაციის გამოყენებით სასარგებლო როლი შეასრულონ ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვასა და გაუმჯობესებაში, სწორი დაგეგმვის და პროცესების მმართვეის მეშვეობით მიაღწიონ “უკეთეს ჯანმრთელობას ყველასთვის”.

ბ) პირველადი ჯანდაცვის რგოლთან, სოფლისა და ოჯახის ექიმებთან ექთნებსა და ბებიასებთან, ჰოსპიტალურ და სხვა სექტორებთან თანამშრომლობით შეუძლიათ მოსახლეობაზე ინფორმაციის ისე “მორგება”, რომ თვით ადამიანებმა, ინდივიდებმა შეძლონ საკუთარი ჯანმრთელობის მართვა და გაუმჯობესება ახალი უნარებისა და ჩვევების გამოიმუშავებით. ეს შესაძლებელია ადგილობრივი რისკების გათვალისწინებით, სიჯანსაღის გაზომვადი პარამეტრების შექმნით, საყოველთაო ვაქცინაციით, დაავადებების ადრეულ სტადიაზე გამოვლენით, მიზნობრივი ადეკვატური მომსახურების მაწოდებით ინტეგრირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მოვლის გზებით.

გ) ადგილობრივად ჩატარებული კვლევების შედეგთა ანალიზით, უწყვეტი სწავლებისა და წვრთნების მეშვეობით შეუძლიათ შედეგების ადაპტირება და შეჯამება პრაქტიკოსთათვის - მტკიცებულებების განვითარება ეფექტური, ინტეგრირებული და მდგრადი მიდგომების შესახებ, რომლებსაც შესაძლებელია მრავალფეროვანი შედეგი ჰქონდეთ. შეუძლიათ განავითარონ და მოამზადონ ჯანდაცვის პროფესიონალებისათვის, ადგილობრივი სამუშაო ძალისათვის მორგებული წვრთნები.

ჩვენ ერთად შეგვიძლია შევქმნათ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ახალი მოცულობის სერვისები და შესაძლებლობები, რომლებიც შეესაბამება 21-ე საუკუნის გამოწვევებს. ამისთვის აუცილებელია, რომ შევცვალოთ აქტივობის გზები და მიდგომები, რომლითაც ახლა ვმუშაობთ, ერთად მოვმძებნოთ ეფექტური მიდგომები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მიღწეულ იქნას მყარი ჯანმრთელობის მდგომარეობა თავისი დადებითი სოციალური გამოსავლებით ახლანდელი ასევე მომავალი თაობებისთვის ვუზრუნველყოთ საცხოვრებლად ხელსაყრელი გარემო.

სსიპ. ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



ადმინისტრაციული ცენტრი: ქ. ბათუმი

ფართობი: 2 900 კმ<sup>2</sup>

მოსახლეობა: 336 500 (2015 წლის იანვრის მონაცემებით)

მოსაზღვრე რეგიონები: გურია (ჩრდილოეთით), ახალციხე (აღმოსავლეთით), კარჩხალის ქედი (სამხრეთით), არსიანის მთა (დასავლეთით).

დასახლებული პუნქტები: ქალაქები : ბათუმი, ქობულეთი.

დაბა : მახინჯაური, ჩაქვი, ოჩხამური, ქედა, ხელვაჩაური, შუახევი, ხულო.

სოფელი: 333

მდებარეობა: საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი, შავი ზღვის სანაპირო ზოლი

კლიმატი: ზომიერად სუბტროპიკული

ადგილობრივი მმართველობა:

აჭარის ა/რ მთავრობა. მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე.

აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭო. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე.

რეგიონის მოსახლეობა 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით 336 077.



აჭარის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ძირითადი ნიშნებია: 1. აქვს პირდაპირი გასასვლელი შავ ზღვაზე; 2. მდებარეობს ევროპისა და აზიის გზების გასაყარზე; 3. აჭარაზე გადის ტრანსევრაზიის საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო კომუნიკაციები; 4. გამოსადეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

შავი ზღვა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჩაკეტილი წყლის მასივია, სანაპირო ზოლის სიგრძე დაახლოებით 4 000 კმ-ია, საიდანაც საქართველოს 320 კმ ეკუთვნის. აჭარის ზღვის სანაპირო ზონა დაახლოებით 57 კმ სიგრძისაა.

აჭარაში 1564 დიდი და პატარა მდინარეა, რომელთა სიგრძე 5 კმ-ზე მეტია. მდინარეთა საერთო სიგრძე დაახლოებით 8600 კმ შეადგენს. აჭარის მდინარეები მდინარე ქვაბლიანის და მისი შეანაკადების გარდა (კასპიის ზღვის აუზი) ყველა შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება.

ტბები აჭარაში გვხვდება როორც დაბლობ, ისე მთიან ზოლში. მათი სიგრძე და სიგანე რამდენიმე ათეული მეტრია. ზღვისპირა ტბებია: გონიო, უსახელო, ნურიგელი და სხვა, ხოლო მთიანი აჭარის ტბებია: მწვანე ტბა, ბოძაური, წიფლნარის, ჩირუხის და სხვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობს 6 კურორტი და 17 საკურორტო ადგილი. რეგიონის კურორტებია: ქობულეთი, ციხისძირი, მახინჯაური, ბათუმი, ბეშუმბი, მწვანე კონცხი.

**მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტი - 240 000 000 ლარი**  
**სსიპ აჭარის ა/რ საზოგადოების ცენტრის ბიუჯეტი - 1 159 310 ლარი**  
**რესპუბლიკის ბიუჯეტში - 0,48 %**

**სსიპ აჭარის ა/რ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი**

| N  | საშტატო ერთეული                                                                                          | საშტატო ერთეულის რაოდენობა | ვაკანტური ადგილების რაოდენობა |
|----|----------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------|-------------------------------|
| 1  | დირექტორი                                                                                                | 1                          |                               |
| 2  | დირექტორის მოადგილე                                                                                      | 1                          |                               |
| 3  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების დარგში            | 1                          |                               |
| 4  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში                                   | 1                          |                               |
| 5  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სამეურნეო დარგში                                                     | 1                          |                               |
| 6  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-იურისტი                                                              | 1                          |                               |
| 7  | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი -ტექნიკური პერსონალი (მძღოლი)                                      | 1                          |                               |
| 8  | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-ტექნიკური პერსონალი (დამლაგებელი)                                  | 1                          |                               |
| I  | <b>გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობისა და იმუნოპროფილაქტიკის განყოფილება</b>                           |                            |                               |
| 9  | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი                                        | 1                          |                               |
| 10 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის საკითხებში    | 1                          |                               |
| 11 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -სტატისტიკური ინფორმაციის მიღების, ანალიზისა და წარდგენის საკითხებში | 1                          |                               |
| 12 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - პარაზიტოლოგიაში                                                    | 1                          |                               |
| 13 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -არაინფექციურ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის დარგში                 | 1                          |                               |
| 14 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ექიმი პროფილაქტიკოსი                                               | 1                          |                               |
| 15 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - რაბიოლოგიაში                                                       | 1                          |                               |
| 16 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- ეპიდემიოლოგი                                                        | 1                          |                               |
| 17 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ეპიდემიოლოგი                                                        | 1                          |                               |
| 18 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ენტომოლოგი                                                         | 1                          |                               |

|      |                                                                              |    |   |
|------|------------------------------------------------------------------------------|----|---|
| 19   | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი -ინსტრუქტორ ენტომოლოგი                 | 1  |   |
| 20   | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი -ინსტრუქტორ ბონიფიკატორი               | 1  |   |
| 21   | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი                                         | 1  |   |
| II   | <b>ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების განყოფილება</b>           |    |   |
| 22   | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი            | 1  |   |
| 23   | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ეკონომისტი                            | 1  |   |
| 24   | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -პროგრამების მართვის დარგში              | 1  |   |
| III  | <b>ქ.ბათუმის განყოფილება</b>                                                 |    |   |
| 25   | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ბათუმის განყოფილების უფროსი    | 1  |   |
| 26   | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ეპიდემიოლოგი                            | 1  |   |
| 27   | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იმუნიზაციზე პასუხისმგებელი პირი        | 1  |   |
| 28   | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- ექიმი პროფილაქტიკოსი                    | 1  |   |
| IV   | <b>ქობულეთის განყოფილება</b>                                                 |    |   |
| 29   | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ქობულეთის განყოფილების უფროსი  | 1  |   |
| 30   | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი                                          | 1  |   |
| 31   | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი -ტექნიკური პერსონალი (მძღოლი)          | 1  |   |
| V    | <b>ხელვაჩაურის განყოფილება</b>                                               |    |   |
| 32   | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -ხელვაჩაურის განყოფილების უფროსი | 1  |   |
| 33   | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი                                          | 1  |   |
| 34   | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი- ტექნიკური პერსონალი (მძღოლი)          | 1  |   |
| VI   | <b>ქედის განყოფილება</b>                                                     |    |   |
| 35   | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ქედის განყოფილების უფროსი      | 1  |   |
| 36   | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი                                          | 1  |   |
| 37   | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი -ტექნიკური პერსონალი (მძღოლი)          | 1  |   |
| VII  | <b>შუახევის განყოფილება</b>                                                  |    |   |
| 38   | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -შუახევის განყოფილების უფროსი    | 1  |   |
| 39   | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი                                          | 1  |   |
| 40   | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი- ტექნიკური პერსონალი (მძღოლი)          | 1  |   |
| VIII | <b>ხულოს განყოფილება</b>                                                     |    |   |
| 41   | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ხულოს განყოფილების უფროსი      | 1  |   |
| 42   | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი                                          | 1  | 1 |
| 43   | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი -ტექნიკური პერსონალი (მძღოლი)          | 1  |   |
|      | ჯამი                                                                         | 43 |   |


|                                                                             |                                                 |
|-----------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------|
| საშუალო შობადობა (აბს. რიცხვი)                                              | 6108                                            |
| ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა                              | 46                                              |
| ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა                                     | 8 ყოველ 1000 დაბადებულზე<br>(5678 საჯარო ბიურო) |
| ხუთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა                              | 59                                              |
| 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა                                              | 1,98 0-5 წლამდე ასაკის<br>ყოველ 1000 ბავშვზე    |
| გასული წლის მშობიარობათა რაოდენობა<br>(რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებში) | 6174                                            |
| მ.შ. საკეისრო კვეთების რაოდენობა                                            | 3307                                            |
| საკეისრო კვეთების მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე                            | 541                                             |
| აბორტების რაოდენობა (გასული წლის)                                           | 3073                                            |
| აბორტები მ. შ. სამედიცინო ჩვენებით (გასული წლის)                            | 2090                                            |
| გარდაცვლილთა რაოდენობა (გასული წლის)                                        | 3480                                            |
| 15-49 წლის ასაკის ქალის სიკვდილის შემთხვევები                               | 47                                              |

| სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი                                        |                       |
|------------------------------------------------------------------------|-----------------------|
| სტაციონარული დაწესებულებების რაოდენობა                                 | 18                    |
| ამბულატორიების რაოდენობა                                               | 23                    |
| სოფლის ექიმების (ფიზ. პირი) რაოდენობა                                  | 106                   |
| სოფლის ექთნების (ფიზ. პირი) რაოდენობა                                  | 110                   |
| ექიმებისა და ექთნების გარეშე დარჩენილი სოფლების რაოდენობა              | 4 (წყალსაყარის ხეობა) |
| ექიმებისა და ექთნების გარეშე დარჩენილი სოფლების მოსახლეობის რაოდენობა  | 1650                  |
| ამცრელი (იმუნოზაციის) კაბინეტების რაოდენობა                            | 24                    |
| ანტირაბიული კაბინეტების რაოდენობა                                      | 7                     |
| ქირურგიული პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა                 | 210                   |
| სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა      | 62                    |
| თერაპიული პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა                  | 139                   |
| ინფექციური პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა                 | 35                    |
| რეანიმაციული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა | 103                   |
| სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტების, ავტო ტრანსპორტის რაოდენობა   | 26                    |
| სისხლის გადასხმის კაბინეტების რაოდენობა                                | 3                     |

## საწოლთა ფონდი 2017 წლის მონაცემებით

|            | საწოლი | საწოლე<br>ბით<br>უზრუნვე<br>ლყოფი<br>ს მაჩვ. | საწოლდღე | შემოსული<br>პაციენტი | გაწერილი | გარდაცვლი<br>ლი | დატვირთ<br>ვა | ბრუნვა | დაყოვნება | ლეტალ<br>ობა |
|------------|--------|----------------------------------------------|----------|----------------------|----------|-----------------|---------------|--------|-----------|--------------|
| ბათუმი     | 1095   | 706                                          | 243756   | 51286                | 50026    | 934             | 222,6         | 46,8   | 4,9       | 1,8          |
| ქობულეთი   | 127    | 168                                          | 14665    | 3641                 | 3256     | 167             | 115,5         | 28,7   | 4,5       | 4,6          |
| ხელვაჩაური |        | 0                                            |          |                      |          |                 |               |        |           |              |
| ქედა       | 20     | 118                                          | 529      | 300                  | 127      | 2               | 26,5          | 15,0   | 4,2       | 0,7          |
| შუახევი    | 15     | 99                                           | 136      | 130                  | 30       | 2               | 9,1           | 8,7    | 4,5       | 1,5          |
| ხულო       | 24     | 102                                          | 760      | 426                  | 321      | 3               | 31,7          | 17,8   | 2,4       | 0,7          |
| აჭარა      | 1 281  | 379                                          | 259 846  | 55 783               | 53 760   | 1 108           | 202,8         | 43,5   | 4,8       | 2,0          |

## იმუნიზაციით მოცვა (%), აჭარა 2017



## საბავშვო და სხვა პროფილის დაწესებულებების (ობიექტების) რაოდენობები

|                                                             |                                                                                                                                                                                                                         |
|-------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| საჯარო სკოლები                                              | 151                                                                                                                                                                                                                     |
| კომერციული სკოლები                                          | 24                                                                                                                                                                                                                      |
| საბავშვო ბაღები                                             | 86                                                                                                                                                                                                                      |
| კომერციული საბავშვო ბაღები                                  | 37                                                                                                                                                                                                                      |
| უმაღლესი სასწავლებლები                                      | 6                                                                                                                                                                                                                       |
| საშუალო ტექნიკური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები      | 5                                                                                                                                                                                                                       |
| მოხუცებულთა ზრუნვის დაწესებულებები, თავმჯდომარეები          | 3                                                                                                                                                                                                                       |
| შშმ პირთა ცენტრი                                            | 3                                                                                                                                                                                                                       |
| ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო ცენტრები                     | 9                                                                                                                                                                                                                       |
| ნარკოდამოკიდებულთა საფრთხის შემცირების ცენტრები             | 3                                                                                                                                                                                                                       |
| სპორტისა და გამაჯანსაღებელი ობიექტები                       | 10                                                                                                                                                                                                                      |
| სადღესასწაულო-გასართობი ცენტრები, ტურიზმის სფერო, ობიექტები | -                                                                                                                                                                                                                       |
| ადგილობრივი რადიო-ტელევიზია                                 | რეგიონში მაუწყებლობს ორი რეგიონული ტელევიზია და ერთი რადიო: აჭარის ტელევიზია ( <a href="http://www.ajaratv.ge">www.ajaratv.ge</a> ), ტელეარხი-25 ( <a href="http://www.tv25.ge">www.tv25.ge</a> ) ასევე რადიო აჭარა FM- |

## საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქსელი და განხორციელებული პროგრამები

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს აჭარაში რეგიონული სტატუსი აქვს და წარმოადგენს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ უწყებას ადგილობრივი მთავრობის დაფინანსებით.

ცენტრი წარმოდგენილია ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს განყოფილებებით, ასევე გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობისა და იმუნიპროფილაქტიკის განყოფილებით.

რეგიონში გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა მიმართ კეთილსამედო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრი ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების ეპიდემიოლოგიურ მხარდაჭერას - იმუნიზაციის, ეპიდზედამხედველობის, ტუბერკულოზის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის და C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამების.


ცენტრის მიერ ხორციელდება ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული 7 ღონისძიება:

- მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა
- C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის თანადაფინანსება
- ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში
- ახალშობილთა სკრინინგი მუკოვისციდოზზე
- სმენის სკრინინგი ახალშობილებში (1 მარტამდე), მეორეული დიაგნოსტიკა (პროექტი 1 ივნისიდან)
- ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში
- ჰელმინთოზების სპექტრის დადგენა სკოლამდელ ასაკში

## ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით ავადობა რეგიონში


2017 წელს აჭარის რეგიონში გადამდები დაავადებების რიცხვმა სულ შეადგინა 28 880, რაც 15%-ით მეტია 2016 წელს რეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობაზე.

გადამდებ დაავადებათა ავადობის დინამიკა  
აჭარა, 2005 წ-2017წ



ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა პრევალენტობა აჭარისათვის შეადგენს 6749-ს. აჭარის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია მაჩვენებელი ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმში. აჭარის საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩება დაავადებიათა სხვა დანარჩენ მუნიციპალიტეტებში.

#### ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა, აჭარა, 2017 წელი



#### ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზი

2017 წელს სულ რეგისტრირებული იყო ტუბერკულოზის 452 შემთხვევა (პრევალენტობის მაჩვენებელი 133), მ.შ. ფილტვის ტუბერკულოზის 376 შემთხვევა (2016 წელს-397 შემთხვევა). 2017 წელს რეგისტრირებულია ფილტვგარეშე ტუბერკულოზის 76 შემთხვევა, რაც 2-ით ერთეულით მეტია წინა წელთან შედარებით (2016წ-74).

ახალი შემთხვევების რაოდენობამ 2017 წელს შეადგინა 323 (ინციდენტობის მაჩვენებელი 95), რაც წინა წელთან შედარებით 18%-ით ნაკლებია.

#### ს ჰეპატიტი

ს ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებიდან (26.02 მდგომარეობით) აჭარის რეგიონში სახელმწიფო პროგრამაში ჩაერთო 6498 ინფიცირებული, მ.შ. მუნიციპალიტეტის მკვიდრია 2338, რომელთაც ისარგებლეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანადაფინანსების კომპონენტით.

2015 წლიდან მკურნალობაში ჩაერთო 3940 პირი, რომელთა შორის:

გამოჯანმრთელდა 3004, აგრძელებს მკურნალობას 692, რელაფსი 5, შეწყვიტა მკურნალობა 44, გარდაიცვალა 20, მკურნალობის შედეგი უცნობია 175.


#### წითელა

2017 წელს რეგიონში დაფიქსირდა წითელას სულ 64 შემთხვევა, მ.შ. 44 ლაბორატორიულად დადასტურებული. შემთხვევათა მატება ფიქსირდება წლის ნოემბრის თვიდან, პირველი ეპიდაფეთქება დაფიქსირდა ხულოს რაიონში ღორჯომის თემში. შემთხვევათა მატება ამავე თვის მეორე ნახევრიდან რეგისტრირდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში.

#### ცოფი

ანტირაბიული ვაქცინებითა და შრატით (იმუნოგლობულინი) უწყვეტი მომარაგების ფონზე, 2013 წლის შემდგომ რეგიონის მასშტაბით ადამიანთა ცოფით დაავადების შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

## ანტირაბიული დახმარებისათვის პაციენტთა მომართვიანობა აჭარა 2005-2017წ



### სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა

მრავალი წელია ზაფხულის პერიოდში აჭარის ა/რ ტერიტორიაზე მუდმივად ადგილი აქვს დაავადებათა მატების დაწყებას ივლისის თვიდან, მაქსიმუმს აღწევს აგვისტოში და ოქტომბერში უბრუნდება არასაკურორტო დონეს.

2017 წელს აღირიცხა სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის 6110 შემთხვევა, რაც გასული წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით (2016წ – 11771 შემთხვევა) 5661ერთეულით ნაკლებია.

### ლეპტოსპიროზი

2017 წელს დარეგისტრირებული ლეპტოსპიროზის საექვო 68 შემთხვევიდან 46 ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე უკუგდებულ იქნა. 21 სავარაუდოა, 1 დადასტურებული. 2017 წელს ანგარიშგებაში მოექცა 22 შემთხვევა, გასულ წელთან შედარებით აღინიშნება კლება 19 ერთეულით.

ლეპტოსპიროზის ინციდენტობის მაღალი დონე რეგიონში განპირობებულია დიაგნოსტიკის მაღალი დონით, ასევე მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციული პროცესებით, განსაკუთრებით საშემოდგომო საუშაოებზე მეზობელ ქვეყნებში. თანამედროვე პირობებში ლეპტოსპიროზის ეტიოლოგიური სრუქტურის გამრავალფეროვნება დაკავშირებული უნდა იყოს გარკვეულ ეკონომიკურ პროცესებთან (შინაური ცხოველების შემოყვანა სხვა ქვეყნებიდან, მღრღნელების მიგრაცია).

### ახალწარმონაქმნები

2017 წელს ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით რეგიონში აღრიცხვაზე იმყოფებოდა **4348** ავადმყოფი (პრევალენტობა 1282), რაც 0,6%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. 2017 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზების წილი შეადგენდა 17%-ს.

რეგიონში 2017 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით გამოვლინდა **729** შემთხვევა, ინციდენტობა 215, რაც 2016 წელთან შედარებით 1,5%-ით (740) ნაკლებია . 2017 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი ავთვისებიანი სიმსივნეებით აღრიცხულ ავადმყოფებში 47% ქალია (345), 53% მამაკაცი (384).

**ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 5 ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო 2016, აჭარა 2017**

| ლოკალიზაცია      | ახალი შემთხვევების რაოდენობა |               | წილი ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევაში |               |
|------------------|------------------------------|---------------|------------------------------------------------------------------------|---------------|
|                  | საქართველო (2016წ)           | აჭარა (2017წ) | საქართველო (2016წ)                                                     | აჭარა (2017წ) |
| სარძევე ჯირკვალი | 1756                         | 112           | 33,5%                                                                  | 32%           |

|                    |     |    |       |      |
|--------------------|-----|----|-------|------|
| ფარისებრი ჯირკვალი | 757 | 5  | 14,4% | 1,4% |
| საშვილოსნოს ყელი   | 371 | 33 | 7,1%  | 9,5  |
| საშვილოსნოს ტანი   | 351 | 25 | 6,7%  | 7,2  |
| კოლორექტული        | 342 | 6  | 6,5%  | 1,7  |

**კაცებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 5 ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო 2016, აჭარა 2017**

| ლოკალიზაცია            | ახალი შემთხვევების რაოდენობა |               | წილი ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევაში |               |
|------------------------|------------------------------|---------------|------------------------------------------------------------------------|---------------|
|                        | საქართველო (2016წ)           | აჭარა (2017წ) | საქართველო (2016წ)                                                     | აჭარა (2017წ) |
| ტრექეა, ბრონქი, ფილტვი | 676                          | 78            | 16,7%                                                                  | 20,3%         |
| წინამდებარე ჯირკვალი   | 406                          | 38            | 10%                                                                    | 10%           |
| შარდის ბუშტი           | 398                          | 37            | 9,8%                                                                   | 10%           |
| კოლორექტული            | 389                          | 17            | 9,6%                                                                   | 4,4%          |
| კუჭი                   | 278                          | 32            | 6,9%                                                                   | 8,3%          |

### სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების წილი ქვეყანაში რეგისტრირებული ყველა დაავადების 15.5%-ს, ხოლო ახალი შემთხვევების 10%-ს შეადგენს. ავადმყოფობათა ამ ჯგუფში მაღალი ავადობით და სიკვდილიანობით ხასიათდება ჰიპერტენზიული, იშემიური და ცერებროვასკულური ავადმყოფობები. 2000-2016 წლებში რეგიონში, ისევე როგორც მთელს ქვეყანაში აღინიშნება სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობების პრევალენტობის ზრდის ტენდენცია.

კარდიოვასკულური ავადმყოფობების რეგისტრირებული შემთხვევების სტრუქტურაში 57% ჰიპერტენზიაზე მოდის (2017).

გულის იშემიური ავადმყოფობები სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობათა რაოდენობის 23%-ს შეადგენს, მათ შორის სტენოკარდია – 6.8%; მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი – 1.2% და სხვა მწვავე იშემიური ავადმყოფობები – 1.6%.

### შაქრიანი დიაბეტი

2017 წლის მონაცემებით აჭარაში ენდოკრინული დაავადებებით დაავადებიანობა შეადგენს 8496-ს , მათ შორის ცხოვრებაში პირველად გამოვლენილია 2204 100 ათას მოსახლეზე.

ენდოკრინოლოგიური პათოლოგიების სტრუქტურა 2017 წელს განაწილებულია შემდეგი სახით: იოდდეფიციტური დაავადებები ჰიპოთირეოზით-23%, ფარისებრი ჯირკვლის თირეოტოქსიკოზით მიმდინარე დაავადებები-6%, თირეოიდიტი 5%.

### ნერვული სისტემის დაავადებები

2017 წელს ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებულია **4819** პაციენტი, ინციდენტობა 1421; 2016 წელს - ავადობის მაჩვენებელი 1508; 2017 წელს აღირიცხა ნერვული სისტემის დაავადებების სულ 13 892 შემთხვევა, პრევალენტობა 4097.

ნერვული სისტემის დაავადებებში წამყვანი ადგილი უჭირავს პერიფერიული ნერვული სისტემის ავადმყოფობებს, რომელიც პირველად რეგისტრირებულ სულ დაავადებათა 2,3%-ს, ხოლო ნერვული სისტემის ავადმყოფობათა 58%-ს შეადგენს, მათ შორის ცერებრული დამბლით პირველადად

რეგისტრირებულია 94(2%) 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარი. ეპიზოდური და პაროქსიზმულ დარღვევები ამავე სისტემის პათოლოგიების 20%-ს შეადგენს.

## **ტრავმები და უბედური შემთხვევები**

2017 წელს აჭარის ა/რ დარეგისტრირდა ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების 12 824 შემთხვევა, პრევალენტობა -3782 (2016 წელს დარეგისტრირდა 20 622 შემთხვევა, პრევალენტობა -5131); პირველადად წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 5056 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 1491 (2016 წელს - 11 188 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 2784).

0-15 წლამდე ასაკში რეგისტრირებული იყო 941, მათ შორის 708 ახალი შემთხვევა. 2017 წელს მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში დარეგისტრირდა ტრავმებისა და მოწამვლების 16%-ით ნაკლები შემთხვევები, ვიდრე 2016 წელს.

## **ფსიქიკური ჯანმრთელობა**

2017 წელს რეგისტრირებულია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე 8158 პიროვნება (2016წ -8151) მათ შორის ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით - 186 (პრევალენტობა 2406, ინციდენტობა-54). პირველად რეგისტრირებულ დაავადებათა სტრუქტურაში მნიშვნელოვანია ორგანული ბუნების აშლილობათა რიცხვი, რაც სულ პირველადი ფსიქიკური პათოლოგიის 30%-ს შეადგენს, თითქმის ამავე სიხშირით ვრცელდება შიზოფრენია და ბოდვითი აშლილობები.

2017 წლის განმავლობაში სტაციონარულ მკურნალობაზე იმყოფებოდა 620 ავადმყოფი, მ.შ. ფსიქიკური აშლილობებით (შიზოფრენიით, შიზოტოპური და ბოდვითი აშლილობებით)-492, აფექტური აშლილობით - 28 ავადმყოფი, გონებრივი ჩამორჩენილობით – 35 ავადმყოფი.

## **გამოყენებული მასალა:**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016წლის 18 იანვრის N01-2/6 ბრძანებია შესაბამისი უწყებრივ-სტატისტიკური მასალა.

## **საკონტაქტო მონაცემები:**

ქალაქი ბათუმი, გორგასალის 141-143

ტელეფონები - 0(422 )27 03 91, მობ. 577 51 36 36

ელ ფოსტა Nnijaradze@gmail.com

აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

**ჯანმრთელობის დაცვა**

**სტატისტიკური ცნობარი**

**აჭარა**

**2017**

## წინასიტყვაობა

ცნობარი მომზადებულია სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2016 წლის 18 იანვრის N01-2/ნ ბრძანების თანახმად, დარგობრივი სტატისტიკური ანგარიშგების საფუძველზე.

ცნობარში მოყვანილი მაჩვენებლების გამოსათვლელად გამოყენებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგია, რაც განაპირობებს რეგიონის მაჩვენებლების შედარებადობას, საქართველოსა და სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან.

**ცნობარი მომზადდა სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ**

## სარჩევი

|               |                                                                                                                                                                                                                                                                                       |
|---------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>თავი 1</b> | <b>დემოგრაფია</b><br>მოსახლეობა<br>შობადობა<br>სიკვდილიანობა<br>ბუნებრივი მატება<br>ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები                                                                                                                                                                |
| <b>თავი 2</b> | <b>მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება</b><br>ჯანდაცვის სისტემის კადრები<br>ჯანდაცვის ქსელი<br>საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ქსელი და სახელმწიფო პროგრამები<br>იმუნიზაცია                                                                                                                |
| <b>თავი 3</b> | <b>დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა</b><br>ორსულობა და მშობიარობა<br>საკეისრო კვეთა<br>აბორტი<br>დედათა სიკვდილიანობა<br>ცოცხალშობადობა<br>მკვდრადშობადობა<br>ნეონატალური სიკვდილიანობა                                                                                                  |
| <b>თავი 4</b> | <b>მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა</b><br><b>ინფექციური ავადმყოფობები</b><br>ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზი<br>ვირუსული ჰეპატიტი C (HCV)<br>წითელა<br>ცოფი<br>მალარია<br>ლეპტოსპიროზი                                                                                        |
| <b>თავი 5</b> | <b>არაგადამდები ავადმყოფობები</b><br>ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები<br>სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობა<br>ენდოკრინული დაავადებები<br>გულის იშემიური ავადმყოფობა<br>ცერებროვასკულური ავადმყოფობა<br>დიაბეტი<br>ფილტვის ქრონიკული ავადმყოფობები<br>ნერვული სისტემის დაავადებები |

## შესავალი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ადმინისტრაციულად ერთ თვითმმართველ ქალაქად და 5 მუნიციპალიტეტად იყოფა: ქალაქი ბათუმი - აჭარის ადმინისტრაციული ცენტრი - ფართობი 64.94 კვ.კმ. ბათუმი დღეისათვის სრულყოფილი სატრანსპორტო, სამრეწველო, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, საკურორტო, ტურისტული, საქმიანი და საფინანსო ცენტრია. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – ფართობი - 356,4 კვ.კმ; ქობულეთის - ფართობი 741,3კვ.კმ, ქედის - 459 კვ.კმ; შუახევის - 588 კვ.კმ ; ხულოს მუნიციპალიტეტის ფართობი - 710 კვ. კმ;

## თავი 1

### დემოგრაფია

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2017 წელს მოსახლეობის რაოდენობა რეგიონში შეადგენს 339 000-ს

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 410 390 ადამიანს, მათ შორის: 209 034 ქალი (51%), 201 356 კაცი (49%). მოსახლეობის 46% (190 072 ადამიანი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 54% სოფლად.

მოსახლეობის რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით ასაკობრივ ჯგუფში, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით (სტატისტიკის ეროვნული სამსახური), აჭარის მოსახლეობა 333 953


| ასაკობრივ ჯგუფები | ბათუმი | ქობულეთი | ხელვაჩაური | ქედა  | შუახევი | ხულო  |
|-------------------|--------|----------|------------|-------|---------|-------|
| 0-4 წ             | 11805  | 5482     | 3820       | 1114  | 907     | 1623  |
| 5-14წ             | 18793  | 8926     | 6036       | 2046  | 1837    | 3294  |
| 15-19წ            | 9389   | 4489     | 3552       | 1257  | 1257    | 1934  |
| 20-59წ            | 90831  | 43319    | 30322      | 9241  | 8177    | 12331 |
ზემოაღნიშნული ოფიციალური სტატისტიკური წყაროებით, 2016 წელს საქართველოში რეგისტრირებულია დედის გარდაცვალების 13 შემთხვევა, მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე - 23.0.

## მკვდრადშობადობა

2017 წელს დაფიქსირდა პერინატალური სიკვდილობის 49 შემთხვევა 1000 საერთო დაბადებულზე მაჩვენებელი - 8 (2016 წელს დაფიქსირდა 52 შემთხვევა, მაჩვენებელი - 8,2). საქართველოსთვის აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წლისათვის დაბადებულზე 9.8-ს შეადგენდა.

2017 წელს 0-6 დღემდე ასაკის 6 ახალშობილი გარდაიცვალა, ადრეული ნეონატალური სიკვდილობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე - 0,98 (2016 წელს გარდაიცვალა 7 ახალშობილი, მაჩვენებელი -1,1)


|             | პერინატალური სიკვდილობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე |       |
|-------------|-------------------------------------------------------|-------|
|             | საქართველო                                            | აჭარა |
| <b>2012</b> | 17.7                                                  | 9,5   |
| <b>2013</b> | 16.1                                                  | 11    |

|      |      |     |
|------|------|-----|
| 2014 | 15.5 | 8,2 |
| 2015 | 13.6 | 8,4 |
| 2016 | 13.8 | 8,2 |
| 2017 |      | 8   |

*პერინატალური დანაკარგების სტრუქტურული შეფარდება (2015-2017წ)*

| პერინატალური<br>დანაკარგი | 2015 წელი |    | 2016 წელი |    | 2017 წელი |    |
|---------------------------|-----------|----|-----------|----|-----------|----|
|                           | რაოდენობა | %  | რაოდენობა | %  | რაოდენობა | %  |
| ანტენატალური              | 41        | 73 | 32        | 62 | 25        | 51 |
| ინტრანატალური             | 9         | 16 | 13        | 25 | 18        | 37 |
| პოსტნატალური              | 6         | 11 | 7         | 13 | 6         | 12 |


**პერინატალური დანაკარგების სტრუქტურული შეფარდება  
აჭარა, 2017 წელი**



**ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით ავადობა რეგიონში**


2017 წელს აჭარის რეგიონში გადამდები დაავადებების რიცხვმა სულ შეადგინა 28 880, რაც 15%-ით მეტია 2016 წელს რეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობაზე.

**გადამდებ დაავადებათა ავადობის დინამიკა  
აჭარა, 2005 წ-2017წ**



**ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა პრევალენტობა** აჭარისათვის შეადგენს 6749-ს. აჭარის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია მაჩვენებელი ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმში. აჭარის საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩება დაავადებიანობა სხვა დანარჩენ მუნიციპალიტეტებში.


**ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა, აჭარა, 2017 წელი**



**ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზი**

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოში უკანასკნელ წლებში აღინიშნება ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებლების კლების ტენდენცია, თუმცა მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის რეგიონის და ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს. 2017 წელს რეგიონში რეგისტრირებული იყო ტუბერკულოზის 323 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 95), რაც წინა წელთან შედარებით 18%-ით ნაკლებია (2016 წელს აღირიცხა 397 ახალი შემთხვევა); მ.შ. ფილტვის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების რაოდენობამ 247 შეადგინა (2016 წელს-ფილტვის ახალი 246 შემთხვევა).


## ტუბერკულოზით დაავადებულობის დინამიკა, აჭარა, 2006-2017 წწ



მიუხედავად კლებადი დინამიკისა, რეგიონის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს სხვა რეგიონის მაჩვენებლებს.

2017 წელს სულ რეგისტრირებული იყო ტუბერკულოზის 452 შემთხვევა (პრევალენტობის მაჩვენებელი 133), მ.შ. ფილტვის ტუბერკულოზის 376 შემთხვევა (2016 წელს-397 შემთხვევა). 2017 წელს რეგისტრირებულია ფილტვგარეშე ტუბერკულოზის 76 შემთხვევა, რაც 2 ერთეულით მეტია წინა წელთან შედარებით (2016წ-74).

## რეზისტენტული ტუბერკულოზის გავრცელება აჭარაში, 2009-2017 წწ



## ს ჰეპატიტი

2015 წლის აპრილში საქართველომ წამოიწყო უპრეცედენტო პროგრამა და მიზნად დაისახა ქვეყანაში ს ჰეპატიტის ელიმინაცია. ს ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებიდან (26.02 მდგომარეობით) აჭარის რეგიონში სახელმწიფო პროგრამაში ჩაერთო 6498 ინფიცირებული, მ.შ. მუნიციპალიტეტის მკვიდრია 2338, რომელთაც ისარგებლეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანადაფინანსების კომპონენტით.

2015 წლიდან მკურნალობაში ჩაერთო 3940 პირი, რომელთა შორის: გამოჯანმრთელდა 3004

აგრძელებს მკურნალობას 692

რელაფსი 5

შეწყვიტა მკურნალობა 44

გარდაიცვალა 20

მკურნალობის შედეგი უცნობია 175

## წითელა

საქართველოში წითელა სავალდებულო რეგისტრაციას და ეპიდზედამხედველობას ექვემდებარება. ქვეყანაში წითელათი ავადობის მნიშვნელოვანი მატება 2004 და 2013 წლებში დაფიქსირდა. 2013 წლის პიკი განპირობებულია 2008 წელს იმუნიზაციის მასობრივი კამპანიის წარუმატებლობით, აღნიშნულმა ხელი შეუწყო მოსახლეობის არაიმუნური ფენის დაგროვებას, რაც წითელათი ავადობის ეპიდემიური მატების პირობა გახდა. ავადობის ტვირთი, ძირითადად, 1 წლამდე და 15-30 წლის ასაკის მოსახლეობაში დაფიქსირდა.

2017 წელს დაფიქსირდა წითელას სულ 64 შემთხვევა, მ.შ. 44 ლაბორატორიულად დადასტურებული. 2016წ დაარეგისტრირდა 4 სავარაუდო შემთხვევა (5-14წ ასაკობრივ ჯგუფში). შემთხვევათა მატება ფიქსირდება წლის ნოემბრის თვიდან, პირველი ეპიდაფეთქება დაფიქსირდა ხულოს რაიონში ღორჯომის თემში. შემთხვევათა მატება ამავე თვის მეორე ნახევრიდან რეგისტრირდება ქობულეთის მუნიციპალიტეტში.

## წითელას ეპიდსიტუაციის მოკლე მიმოხილვა აჭარაში (2018წ)

2018 წლის განმავლობაში აჭარის რეგიონში დაფიქსირდა წითელას 309 შემთხვევა (25 ივნისის მდგომარეობით), მ.შ. 253 ლაბორატორიულად დადასტურებული.

შემთხვევების 65% აღირიცხა ქალაქ ბათუმში, 20% - ქობულეთში, 11%-ხელვაჩაურში, 2%-ქედაში, 1 % - შუახევში და 1% ხულოს მუნიციპალიტეტში.

ასაკობრივი დინამიკა შემდეგია:

0-1 წლამდე -19%

1- 4 წელი -17%

5-14 წელი-13%

15-19 წელი -5%

20-29 წელი - 26%

30 წლის და მეტი - 20%

ჯამურად 20 წლის ზედა ასაკში დაფიქსირდა შემთხვევათა 46%.

## ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები:


1. სულ ჩატარდა არაგეგმიური 5574 აცრა, მ.შ. ძირითადი ნაწილი 20-40 წლის ასაკის მოსახლეობა და კონტაქტირებული პირებია.
2. ყველა სკოლისა და საბავშვო ბაღის დონეზე განხორციელდა არასრულად აცრილ და აუცრელ პირთა იდენტიფიცირება, განახლდა აცრის სტატუსის შესახებ ჩანაწერები.
3. თითოეული ამცრელი უბნის დონეზე განხორციელდა ასაცრელი კონტინგენტის იდენტიფიცირება და მოზიდვა დანაკლისი დოზების მისაღებად.
4. საინფორმაციო ვიზიტები ჩატარდა სკოლებში, ბაღებში, სასტუმროებში, რესტორნებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვადასხვა ადგილებში.

5. სამედიცინო პერსონალს მიეწოდა ინფორმაცია წითელას მართვის გაიდლაინის, ლაბორატორიული კვლევის აუცილებლობის შესახებ.

## ცოფი

ანტირაბიული ვაქცინებითა და შრატით (იმუნოგლობულინი) უწყვეტი მომარაგების ფონზე, 2013 წლის შემდგომ ადამიანთა ცოფით დაავადების შემთხვევა არ დაფიქსირებულა რეგიონის მასშტაბით.

## ანტირაბიული დახმარებისათვის პაციენტთა მომართვიანობა აჭარა 2005-2017წ



ანტირაბიული ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა მომართულთა 22,31% -ს, არასრული 77,6%-ს, ვაქცინაცია დაასრულა დაზარალებულთა 89,5%-მა, მკურნალობა შეწყვიტა 2,26%-მა.

## მალარია


2002 წლიდან მალარიის ინციდენტობის მაჩვენებელი მკვეთრი შემცირების დინამიკით ხასიათდებოდა და 2013 წლიდან იგი ნულს გაუტოლდა. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ქვეყანაში არ დარეგისტრირებულა მალარიის ადგილობრივი შემთხვევა. ამასთან, ზედამხედველობა დამყარდა 1 საექვო შემთხვევაზე, რომელიც ლაბორატორიულად უკუგდებულ იქნა.

## სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა

მრავალი წელია ზაფხულის პერიოდში აჭარის ა/რ ტერიტორიაზე მუდმივად ადგილი აქვს დაავადებათა მატების დაწყებას ივლისის თვიდან, მაქსიმუმს აღწევს აგვისტოში და ოქტომბერში უბრუნდება არასაკურორტო დონეს.


მიმდინარე წელს აღირიცხა სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის 6110 შემთხვევა, რაც გასული წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით (2016წ – 11771 შემთხვევა) 5661ერთეულით ნაკლებია.

**სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა, შემთხვევათა განაწილება თვეების მიხედვით, აჭარა 2015–2017წ**



დაავადების ინციდენტობა აჭარის საშუალო მაჩვენებელს აღემატება ბათუმის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, სხვა ტერიტორიები წარმოდგენილია აჭარის საშუალოზე დაბალი დონით.


**სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის ინციდენტობა მუნიციპალურ ჭრილში (100 000 მოსახლეზე)**



სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვების შემთხვევათა განაწილება მუნიციპალურ ჭრილში აისახება შემდეგნაირად, საშუალო მაჩვენებელზე მეტია მაჩვენებელი ქობულეთის, ხულოს, ქედის და შუახევის მუნიციპალიტეტებში, ხოლო დაბალია ქალაქ ბათუმსა და ხელვაჩაურში.

**სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა,**


**დაავადების ინციდენტობა მუნიციპალურ ჭრილში (100 000 მოსახლეზე)**



როგორც დიარეული კლინიკით მიმდინარე დაავადებები, აღნიშნული ნოზოლოგიის მატებაც ფიქსირდება ზაფხულის პერიოდში და პროპორციულია გარემოს მაღალი ტემპერატურის, ტურისტების რიცხვის

მატების. სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვების რიცხვი განსაკუთრებით მზარდია რეგიონში 2014 წლიდან.

სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა, შემთხვევათა განაწილება თვეების მიხედვით, აჭარა 2015–2017წ




### ლეპტოსპიროზი

2017 წელს დარეგისტრირებული ლეპტოსპიროზის საეჭვო 68 შემთხვევიდან 46 ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე უკუგდებულ იქნა. 21 სავარაუდოა, 1 დადასტურებული. 2017 წელს ანგარიშგებაში მოექცა 22 შემთხვევა, გასულ წელთან შედარებით აღინიშნება კლება 19 ერთეულით.

ლეპტოსპიროზის ინციდენტობის მაღალი დონე რეგიონში განპირობებულია დიაგნოსტიკის მაღალი დონით, ასევე მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციული პროცესებით, განსაკუთრებით საშემოდგომო საუშაოებზე მეზობელ ქვეყნებში.

თანამედროვე პირობებში ლეპტოსპიროზის ეტიოლოგიური სრუქტურის გამრავალფეროვნება დაკავშირებული უნდა იყოს გარკვეულ ეკონომიკურ პროცესებთან (შინაური ცხოველების შემოყვანა სხვა ქვეყნებიდან, მღრღნელების მიგრაცია).

ლეპტოსპიროზის შემთხვევათა განაწილება თვეების მიხედვით აჭარა, 2015-2017 წ



### თავი 5


არაგადამდები დაავადებები

ახალწარმონაქმნები

2017 წელს ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით რეგიონში აღრიცხვაზე იმყოფებოდა 4348 ავადმყოფი (პრევალენტობა 1282), რაც 0,6%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით (2016 წელს ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე მყოფი 4376 ავადმყოფი). 2017 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზების წილი შეადგენდა 17%-ს, ახალ შემთხვევათა წილი 2016 წლისათვის ასევე 17%. 2017 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი ავთვისებიანი სიმსივნეებით აღრიცხულ ავადმყოფებში 47% ქალია (345), 53% მამაკაცი (384).

რეგიონში 2017 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით გამოვლინდა 729 შემთხვევა, ინციდენტობა 215, რაც 2016 წელთან შედარებით 1,5%-ით (740) ნაკლებია, 2013-2014 წლების მონაცემებით აღილი ჰქონდა ავადობის მატების ტენდენციას, 2015 წლის შემდეგ კი ფიქსირდება დაავადების კლებადი დინამიკა.

**ახალი შემთხვევები 2012-2017 წწ, აჭარა**



ონკოლოგიურ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოში 2015 წლის 1 იანვრიდან ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი. რეგისტრის მონაცემებით, 2015 წელს საქართველოში რეგისტრირებულია ყველა ლოკალიზაციის კიბოს 10 506 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე - 293.4). 2016 წელს აღირიცხა კიბოს 10097 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე - 271.5) .

2015-2016 წლებში ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 56% ქალებში, 44% - კაცებში აღირიცხა.

აჭარის რეგიონში 2017 წლის მონაცემებით, ორივე სქესის გათვალისწინებით, სიმსივნური დაავადებებით ავადობის სტრუქტურაში I ადგილი უკავია სარძევე ჯირკვლის კიბოს (16%), II ადგილი – ფილტვის კიბოს (11,6%), III - კანის ავთვისებიან სიმსივნეებს (9%), IV ადგილზე - კუჭის კიბო (6%) და შარდის ბუშტის (6%), საშვილოსნოს ყელის კიბო (5%), ხორხის კიბო (3,4%), წინამდებარე ჯირკვლის კიბო (3%), სწორი ნაწლავის კიბო (2,6%) .

#### ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 5 ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო, 2016

| ლოკალიზაცია | ახალი შემთხვევების რაოდენობა |               | წილი ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევაში |               |
|-------------|------------------------------|---------------|------------------------------------------------------------------------|---------------|
|             | საქართველო (2016წ)           | აჭარა (2017წ) | საქართველო (2016წ)                                                     | აჭარა (2017წ) |

|                    |      |     |       |      |
|--------------------|------|-----|-------|------|
| სარძევე ჯირკვალი   | 1756 | 112 | 33,5% | 32%  |
| ფარისებრი ჯირკვალი | 757  | 5   | 14,4% | 1,4% |
| საშვილოსნოს ყელი   | 371  | 33  | 7,1%  | 9,5  |
| საშვილოსნოს ტანი   | 351  | 25  | 6,7%  | 7,2  |
| კოლორექტული        | 342  | 6   | 6,5%  | 1,7  |

**კაცებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 5 ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაცია, საქართველო, 2016**


| ლოკალიზაცია            | ახალი შემთხვევების რაოდენობა |               | წილი ქალებში რეგისტრირებული ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევაში |               |
|------------------------|------------------------------|---------------|------------------------------------------------------------------------|---------------|
|                        | საქართველო (2016წ)           | აჭარა (2017წ) | საქართველო (2016წ)                                                     | აჭარა (2017წ) |
| ტრაქეა, ბრონქი, ფილტვი | 676                          | 78            | 16,7%                                                                  | 20,3%         |
| წინამდებარე ჯირკვალი   | 406                          | 38            | 10%                                                                    | 10%           |
| შარდის ბუშტი           | 398                          | 37            | 9,8%                                                                   | 10%           |
| კოლორექტული            | 389                          | 17            | 9,6%                                                                   | 4,4%          |
| კუჭი                   | 278                          | 32            | 6,9%                                                                   | 8,3%          |

ყველა ლოკალიზაციის კიბოს ახალი შემთხვევების 72,2% რეგისტრირებულია ყველაზე შრომისუნარიან ასაკობრივ ჯგუფში (30 წლიდან 70 წლამდე), შემთხვევათა ~24% - 70 წელზე მეტ ასაკობრივ ჯგუფში.

**სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები**

სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების წილი ქვეყანაში რეგისტრირებული ყველა დაავადების 15.5%-ს, ხოლო ახალი შემთხვევების 10%-ს შეადგენს. ავადმყოფობათა ამ ჯგუფში მაღალი ავადობით და სიკვდილიანობით ხასიათდება ჰიპერტენზიული, იშემიური და ცერებროვასკულური ავადმყოფობები. 2000-2016 წლებში რეგიონში, ისევე როგორც მთელს ქვეყანაში აღინიშნება სისხლის მიმოქცევის ავადმყოფობების პრევალენტობის ზრდის ტენდენცია.

## სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების დინამიკა 2001-2017წწ



კარდიოვასკულური ავადმყოფობების რეგისტრირებული შემთხვევების სტრუქტურაში 57% ჰიპერტენზიაზე მოდის (2017).

გულის იშემიური ავადმყოფობები სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობათა რაოდენობის 23%-ს შეადგენს, მათ შორის სტენოკარდია – 6.8%; მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტი – 1.2% და სხვა მწვავე იშემიური ავადმყოფობები – 1.6%.

ცერებროვასკულური ავადმყოფობები სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობების სტრუქტურაში რიგით მესამე ადგილს იკავებს.


### ენდოკრინული დაავადებები შაქრიანი დიაბეტი

2017 წლის მონაცემებით აჭარაში ენდოკრინული დაავადებებით დაავადებიანობა შეადგენს 8496-ს , მათ შორის ცხოვრებაში პირველად გამოვლენილია 2204 100 ათას მოსახლეზე.

ენდოკრინოლოგიური პათოლოგიების სტრუქტურა 2017 წელს განაწილებულია შემდეგი სახით: იოდდეფიციტური დაავადებები ჰიპოთირეოზით-23%, ფარისებრი ჯირკვლის თირეოტოქსიკოზით მიმდინარე დაავადებები-6%, თირეოიდიტი 5%.

უკანასკნელ წლებში საქართველოში აღინიშნება დიაბეტის ზრდის ტენდენცია, რაც ძირითადად ტიპი 2-ის ზრდით არის გამოწვეული. 2017 წელს შაქრიანი დიაბეტის ტიპი 1 ახალი შემთხვევების 4% რეგისტრირებული იყო ბავშვებში. ენდოკრინული პათოლოგიების 13% ში დაგნოსტირებულ იქნა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2.

### ენდოკრინოლოგიური პათოლოგიები, აჭარა, 2011- 2017 წელი



## ფილტვის ქრონიკული ავადმყოფობები


რესპირაციული სისტემის ქრონიკული ავადმყოფობების (ასთმა, სასუნთქი სისტემის ალერგიული ავადმყოფობები, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობები, ფილტვის პროფესიული ავადმყოფობები, პულმონარული ჰიპერტენზია) ჯგუფი სასუნთქი სისტემის ავადმყოფობების ძირითად ნაწილს შეადგენს.

2017 წელს ქვედა სასუნთქი გზების ქრონიკული ავადმყოფობების ჯგუფში 59% ფილტვის ქრონიკულ ობსტრუქციულ ავადმყოფობებზე მოდიოდა.

ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული ავადმყოფობის ძირითად მიზეზს თამბაქოს კვამლი (პასიური მოხმარების ჩათვლით) წარმოადგენს. სხვა რისკ-ფაქტორებია: შენობის შიდა ჰაერის დაბინძურება, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, პროფესიული მტვერი და ქიმიური ნივთიერებები.

ზოგადად სასუნთქი ორგანოების დაავადების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს ზედა სასუნთქი გზების მწვავე დაავადებებს (45%),


## სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობების დინამიკა 2001-2017წწ



## ნერვული სისტემის დაავადებები

2017 წელს ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებულია 4819 პაციენტი, ინციდენტობა 1421; 2015 წელს - ავადობის მაჩვენებელი 1508; 2017 წელს აღირიცხა ნერვული სისტემის დაავადებების სულ 13 892 შემთხვევა, პრევალენტობა 4097.

## ნერვული სისტემის დაავადებების დინამიკა 2001-2017




ნერვული სისტემის დაავადებებში წამყვანი ადგილი უჭირავს პერიფერიული ნერვული სისტემის ავადმყოფობებს, რომელიც პირველად რეგისტრირებულ სულ დაავადებათა 2,3%-ს, ხოლო ნერვული სისტემის ავადმყოფობათა 58%-ს შეადგენს, მათ შორის ცერებრული დამბლით პირველად რეგისტრირებულია 94(2%) 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარი. ეპიზოდური და პაროქსიზმულ დაღვევები ამავე სისტემის პათოლოგიების 20%-ს შეადგენს.

## საჭმლის მომნელებელი სისტემა

2017 წელს საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 20 748 ავადმყოფი, დაავადებიანობა 100 000 მოსახლეზე - 6120 (2016 წელს რეგისტრირებული - 18 450). სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულია 7844 ავადმყოფი, ინციდენტობა 2313 (2016 წელს ავადობა -2190 ).

### საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა დინამიკა 2001-2017წწ



საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების ნოზოლოგიებში მაღალია საყლაპავის, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის ავადმყოფობები -33%, რომლებიც სულ პირველად რეგისტრირებული პათოლოგიების 2%-ს შეადგენს. პირის ღრუს, სანერწყვე ჯირკვლებისა და ყბების ავადმყოფობები საჭმლის მომნელებელი სისტემის – 22 %-ია, გასტრიტითა და დუოდენიტით დაავადებულთა წილი – 21 %, ნაღვლის ბუშტის, სანაღვლე გზებისა და პანკრეასის ავადმყოფობები – 17 %.


## ტრავმები და უბედური შემთხვევები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით საგზაო შემთხვევების შედეგად ყოველწლიურად 1.3 მილიონი ადამიანი იღუპება, 20–50 მილიონამდე კი სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებას იღებს. საგზაო შემთხვევების უდიდესი წილი მოსახლეობის ახალგაზრდა, სოციალურად აქტიურ ფენაზე მოდის და 15–29 ასაკის პოპულაციაში სიკვდილიანობისა და ინვალიდობის წამყვან მიზეზს წარმოადგენს.

2017 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დარეგისტრირდა ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების 12 824 შემთხვევა, პრევალენტობა -3782 (2016 წელს დარეგისტრირდა 20 622 შემთხვევა, პრევალენტობა -5131); პირველად რეგისტრირდა 5056 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 1491 (2016 წელს - 11 188 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 2784).

0-15 წლამდე ასაკში რეგისტრირებული იყო 941, მათ შორის 708 ახალი შემთხვევა. 2017 წელს მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში დარეგისტრირდა ტრავმებისა და მოწამვლების 16%-ით ნაკლები შემთხვევები, ვიდრე 2016 წელს.

### ტრავმების დინამიკა, აჭარა 2001-2017 წწ



სხვადასხვა ლოკალიზაციის ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების შემთხვევათა შორის ყველაზე ხშირი იყო ჭრილობების, სისხლძარღვთა დაზიანების, ზედაპირული ტრავმების, დაჭედილობებისა და დაჩეჩვილობების შემთხვევები, რამაც ამ კლასის დაავადებების 35 % შეადგინა. შემდეგ ადგილზე მოდის სამკურნალო ნივთიერებებით, მედიკამენტებით და სხვა ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლები - 21 %, ზედა და ქვედა კიდურების ძვლების მოტეხილობა - 12 % და ამოვარდნილობები (მოტეხილობების გარეშე), დაჭიმულობები, დაძაბულობა - 11 %.

### ფსიქიკური ჯანმრთელობა

ფსიქიკური ჯანმრთელობა, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთი პრიორიტეტი, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს - იქმნება სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და პროგრამები ფსიქიკური აშლილობების ტვირთის და გამოსავლების შესამცირებლად. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის სისტემები ფსიქიკური აშლილობების ტვირთს ადექვატურად კვლავ ვერ პასუხობენ; სხვაობა მკურნალობის საჭიროებასა და მის მიწოდებას შორის მთელს მსოფლიოში ძალიან დიდია. დაბალ და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა 76%-დან 85% ვერ იღებს მკურნალობას; მაღალი შემოსავლების ქვეყნებშიც კი ეს მაჩვენებელი მაღალია და მერყეობს 35%-დან და 50%-ს შორის.

საქართველოში დღეისათვის ოფიციალურად აღრიცხულია დაახლოებით 100 000 ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანი, ხოლო ფსიქიატრიულ სტაციონარებში 2016 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 4687 პაციენტი.


ექსპერტთა შეფასებით საქართველოში სულ მცირე 240 000 ნარკოტიკების მომხმარებელია, რომელთაგანაც სავარაუდოდ 80 000 ნარკოტიკებს ინექციური გზით მოიხმარს, ხოლო ამ უკანასკნელთაგან 30 000 – 35 000 დაავადებულია წამალდამოკიდებულებით, რაც ასევე წარმოადგენს სერიოზულ ფსიქიკურ პრობლემას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2017 წელს რეგისტრირებულია ფსიქიკური და ქვევითი აშლილობის მქონე 8158 პიროვნება (2016წ - 8151) მათ შორის ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით - 186 (პრევალენტობა 2406, ინციდენტობა-54). პირველად რეგისტრირებულ დაავადებათა სტრუქტურაში მნიშვნელოვანია ორგანული ბუნების აშლილობათა რიცხვი, რაც სულ პირველადი ფსიქიკური

პათოლოგიის 30%-ს შეადგენს, თითქმის ამავე სიხშირით ვრცელდება შიზოფრენია და ბოდვითი აშლილობები.

2017 წლის განმავლობაში სტაციონარულ მკურნალობაზე იმყოფებოდა 620 ავადმყოფი, მ.შ. ფსიქიური აშლილობებით (შიზოფრენიით, შიზოტოპური და ბოდვითი აშლილობებით)-492, აფექტური აშლილობით - 28 ავადმყოფი, გონებრივი ჩამორჩენილობით – 35 ავადმყოფი.

### შემთხვევათა განაწილება სტაციონარში, 2016 წ. აჭარა



### გამოყენებული მასალა:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის 2016წლის 18 იანვრის N01-2/6 ბრძანების შესაბამისი უწყებრივ-სტატისტიკურიმ



## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი

ქვეყანა საქართველო

ავტონომიური რესპუბლიკა აჭარის არ

კოორდინატები

41°38'45" ჩ. გ. 41°38'30" ა. გ.

ფართობი 64.9 კმ²

მოსახლეობა 152 839 (2014)

სიმჭიდროვე 7 293.8 კაცი/კმ²

სასაათო სარტყელი UTC+04:00

სატელეფონო კოდი +995 422

საფოსტო ინდექსი 6000 ოფიციალური საიტი batumi.ge

მერი - ლაშა კომახიძე

ბათუმი მსხვილი საერთაშორისო ნავსადგურია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბაქო-ბათუმის რკინიგზისა და ნავთობსადენის ბოლო პუნქტი და საავტომობილო გზების კვანძი.

**მდებარეობა:** ქალაქი გადაჭიმულია ჩრდ. აღმოსავლეთიდან სამხრ. დასავლეთისაკენ 7 კილომეტრზე ზღვის დონიდან 5 მ. ბათუმის ძირითადი ნაწილი სამხრეთიდან ეკვრის ყურეს და გაშენებულია კახაბრის დაბლობის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, ჩრდ. აღმოსავლეთით მდინარეების ბარცხანისა და ყოროლისწყლის გასწვრივ.



ბათუმის ბუნება ზღვის ნოტიო სუბტროპიკულია.

ბათუმის ტერიტორიაზე არის ბუნებრივი ტბა (ფართობი 0,06 კმ²), რომელიც ამჟამად ბათუმპარკის ნაწილია. ქალაქსა და მის მიდამოებში გავრცელებულია მრავალნაირი სუბტროპიკული მცენარე. ჭარბობს ხელოვნურად გაშენებული პარკები, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ნარგავები. გორაკ-ბორცვებზე აქა-იქ შემორჩენილია კოლხური ბუნებრივი ტყე და ბუჩქნარი.

შავი ზღვა მსოფლიოში ერთ–ერთი ყველაზე დიდი ჩაკეტილი წყლის მასივია, სანაპირო ზოლის სიგრძე დაახლოებით 4 000 კმ-ია, საიდანაც საქართველოს 320 კმ ეკუთვნის. აჭარის ზღვის სანაპირო ზონა დაახლოებით 57 კმ სიგრძისაა.

ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ცენტრია. მთავარი დარგებია ნავთობგადამუშავება, მანქანათმშენებლობა, ფარმაკო-ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა. განვითარებულია აგრეთვე საშენი მასალების წარმოება და ხე-ტყის გადამუშავება.

ბოლო წლებში ბათუმი იქცა ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად ტურისტულ ადგილად საქართველოში. ის პოპულარობით სარგებლობს არა მარტო რესპუბლიკის, არამედ რეგიონის მასშტაბითაც.

მერიის მიმდინარე წლის ბიუჯეტი - 142 603 600 ლარი  
 სსიპ აჭარის ა/რ საზო ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტი - 1 159 310 ლარი (41% იხარჯება ქალაქ ბათუმზე) ~ 475 317 ლარი, რაც ბათუმის მერიის ბიუჯეტის 0,33 %-ია;  
 ქალაქ ბათუმის განყოფილება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სტრუქტურული ნაწილია, ცენტრს აჭარაში რეგიონული სტატუსი აქვს და წარმოადგენს აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ უწყებას ადგილობრივი მთავრობის დაფინანსებით.

სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ადმინისტრაცია, გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობისა და იმუნოპროფილაქტიკის განყოფილება, ბათუმის განყოფილება

| N  | საშტატო ერთეული                                                                                          | საშტატო ერთეულის რაოდენობა | ვაკანტური ადგილების რაოდენობა |
|----|----------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------------------|-------------------------------|
| 1  | დირექტორი                                                                                                | 1                          |                               |
| 2  | დირექტორის მოადგილე                                                                                      | 1                          |                               |
| 3  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების დარგში            | 1                          |                               |
| 4  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგში                                   | 1                          |                               |
| 5  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-სამეურნეო დარგში                                                     | 1                          |                               |
| 6  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-იურისტი                                                              | 1                          |                               |
| 7  | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი -ტექნიკური პერსონალი (მძღოლი)                                      | 1                          |                               |
| 8  | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი-ტექნიკური პერსონალი (დამლაგებელი)                                  | 1                          |                               |
| I  | გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობისა და იმუნოპროფილაქტიკის განყოფილება                                  |                            |                               |
| 9  | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი                                        | 1                          |                               |
| 10 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის საკითხებში    | 1                          |                               |
| 11 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -სტატისტიკური ინფორმაციის მიღების, ანალიზისა და წარდგენის საკითხებში | 1                          |                               |
| 12 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - პარაზიტოლოგიაში                                                    | 1                          |                               |
| 13 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -არაინფექციურ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის დარგში                 | 1                          |                               |
| 14 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ექიმი პროფილაქტიკოსი                                               | 1                          |                               |
| 15 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - რაბიოლოგიაში                                                       | 1                          |                               |
| 16 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- ეპიდემიოლოგი                                                        | 1                          |                               |
| 17 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ეპიდემიოლოგი                                                        | 1                          |                               |
| 18 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ენტომოლოგი                                                         | 1                          |                               |

|     |                                                                           |   |  |
|-----|---------------------------------------------------------------------------|---|--|
| 19  | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი -ინსტრუქტორ ენტომოლოგი              | 1 |  |
| 20  | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი -ინსტრუქტორ ბონიფიკატორი            | 1 |  |
| 21  | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი                                      | 1 |  |
| II  | <b>ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების განყოფილება</b>        |   |  |
| 22  | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი         | 1 |  |
| 23  | პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ეკონომისტი                         | 1 |  |
| 24  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -პროგრამების მართვის დარგში           | 1 |  |
| III | <b>ქ.ბათუმის განყოფილება</b>                                              |   |  |
| 25  | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ბათუმის განყოფილების უფროსი | 1 |  |
| 26  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ეპიდემიოლოგი                         | 1 |  |
| 27  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იმუნიზაციზე პასუხისმგებელი პირი     | 1 |  |
| 28  | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- ექიმი პროფილაქტიკოსი                 | 1 |  |

| სამედიცინო-დემოგრაფიული მაჩვენებლები                                     |                                           |
|--------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------|
| საშუალო შობადობა (აბს. რიცხვი)                                           | 2828 (საქსტატი)                           |
| ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა                           | 18                                        |
| ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა                                  | 7 ყოველ 1000 დაბადებულზე                  |
| ხუთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა                           | 22                                        |
| 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა                                           | 1,56 0-5 წლამდე ასაკის ყოველ 1000 ბავშვზე |
| გასული წლის მშობიარობათა რაოდენობა (რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებში) | 5625                                      |
| მ.შ. საკეისრო კვეთების რაოდენობა                                         | 3115                                      |
| საკეისრო კვეთების მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე                         | 1101                                      |
| აბორტების რაოდენობა (გასული წლის)                                        | 2876                                      |
| აბორტები მ. შ. სამედიცინო ჩვენებით (გასული წლის)                         | 1757                                      |
| გარდაცვლილთა რაოდენობა (გასული წლის)                                     | 1461                                      |
| 15-49 წლის ასაკის ქალის სიკვდილის შემთხვევები                            | 27                                        |

| სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი        |    |
|----------------------------------------|----|
| სტაციონარული დაწესებულებების რაოდენობა | 13 |
| ამბულატორიების რაოდენობა               | 22 |
| სოფლის ექიმების (ფიზ. პირი) რაოდენობა  | -  |


|                                                                        |     |
|------------------------------------------------------------------------|-----|
| სოფლის ექთნების (ფიზ. პირი) რაოდენობა                                  | -   |
| ექიმებისა და ექთნების გარეშე დარჩენილი სოფლების რაოდენობა              | -   |
| ექიმებისა და ექთნების გარეშე დარჩენილი სოფლების მოსახლეობის რაოდენობა  | -   |
| ამცრელი (იმუნიზაციის) კაბინეტების რაოდენობა                            | 18  |
| ანტირაბიული კაბინეტების რაოდენობა                                      | 2   |
| ქირურგიული პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა                 | 166 |
| სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა      | 172 |
| თერაპიული პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა                  | 83  |
| ინფექციური პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა                 | 35  |
| რეანიმაციული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა | 85  |
| სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტების, ავტო ტრანსპორტის რაოდენობა   | 26  |
| სისხლის გადასხმის კაბინეტების რაოდენობა                                | 3   |

*საწოლთა ფონდი 2017 წლის მონაცემებით*

|        | საწოლი | საწოლე<br>ბით<br>უზრუნვე<br>ლყოფი<br>ს მაჩვ. | საწოლდღე | შემოსული<br>პაციენტი | გაწერილი | გარდაცვლი<br>ლი | დატვირთ<br>ვა | ბრუნვა | დაყოვნება | ლეტალ<br>ობა |
|--------|--------|----------------------------------------------|----------|----------------------|----------|-----------------|---------------|--------|-----------|--------------|
| ბათუმი | 1095   | 706                                          | 243756   | 51286                | 50026    | 934             | 222,6         | 46,8   | 4,9       | 1,8          |

| საბავშვო და სხვა პროფილის დაწესებულებების (ობიექტების) რაოდენობები |                                                                              |
|--------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------|
| საჯარო სკოლები                                                     | 27                                                                           |
| კომერციული სკოლები                                                 | 17                                                                           |
| საბავშვო ბაღები                                                    | 31                                                                           |
| კომერციული საბავშვო ბაღები                                         | 35                                                                           |
| უმაღლესი სასწავლებლები                                             | 5                                                                            |
| საშუალო ტექნიკური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები             | 3                                                                            |
| მოხუცებულთა ზრუნვის დაწესებულებები, თავშესაფრები                   | 2                                                                            |
| შშმ პირთა ცენტრი                                                   | 2                                                                            |
| ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო ცენტრები                            | 9                                                                            |
| ნარკოდამოკიდებულთა საფრთხის შემცირების ცენტრები                    | 2                                                                            |
| სპორტისა და გამაჯანსაღებელი ობიექტები                              | 1                                                                            |
| სადღესასწაულო-გასართობი ცენტრები, ტურიზმის სფერო, ობიექტები        | -                                                                            |
| ადგილობრივი რადიო-ტელევიზია                                        | რეგიონში მაუწყებლობს ორი რეგიონული ტელევიზია და ერთი რადიო: აჭარის ტელევიზია |

## იმუნიზაციით მოცვა (%), ქალაქი ბათუმი 2017



### საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქსელი და განხორციელებული პროგრამები

ბათუმში, ცენტრის გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობისა და იმუნოპროფილაქტიკის განყოფილებასთან ერთობლივად გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა მიმართ კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მიმდინარე სახელმწიფო პროგრამების ეპიდემიოლოგიურ მხარდაჭერას.

სსიპ აჭარის ა/რ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი უზრუნველყოფს იმუნიზაციის, ეპიდზედამხედველობის, ტუბერკულოზის მართვის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის და C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამების ეპიდზედამხედველობით მხარდაჭერას.

ცენტრის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული 7 პროგრამულ ღონისძიებიდან ქ. ბათუმში ხორციელდება 3 :

- ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში
- ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში
- ჰელმინთოზების სპექტრის დადგენა სკოლამდელ ასაკში

### საკონტაქტო მონაცემები:

ქალაქი ბათუმი, გორგასალის 141-143

ტელეფონები - 0(422 )27 03 91, მობ. 577 51 36 36; 577 27 87 40

ელ ფოსტა [Nnijaradze@gmail.com](mailto:Nnijaradze@gmail.com) [nona70nona@gmail.com](mailto:nona70nona@gmail.com)



ადმინისტრაციული ცენტრი: ქ. ქობულეთი

ფართობი: 711.8 კვ.მ.


მოსახლეობა: 74 794 კაცი

ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტი 21 ადმინისტრაციული ერთეულადაა დაყოფილი, მათ შორის 1 ქალაქი, 2 სადაზო და 18 სასოფლო თემია.

**ადგილობრივი მმართველობა:**

ქალაქ ბათუმის მერი მირიან ქათამაძე



ქობულეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი იწყება კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთის ჭაობიანი დაბლობით და იშლება ჩოლოქის, ცხრაფონას, აჭყვას, კინტრიშის, კინკიშას, დეხვასა და ჩაქვისწყლის ხეობებში.

ეკონომიკის დარგებიდან აღსანიშნავია ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. ქალაქი ქობულეთი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საზღვაო კურორტს წარმოადგენს, ასევე განვითარების სტადიაშია სოფლად ტურიზმი. სოფლის მეურნეობაში ძირითადი მიმართულებებია მეცხირე, მეჩაიეობა, მეზღაღობა, ასევე განვითარებულია მეცხოველეობაც. მუნიციპალიტეტში ასევე მოქმედებენ გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის მცირე საწარმოები. ეკონომიკურად ყველაზე მეტად დაწინაურებულია მომსახურეობისა და ვაჭრობის სფერო.

ძირითადი ღირსშესანიშნაობანი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს კინტრიშის დაცული ტერიტორია, მტირალას ეროვნული პარკი და ისპანის აღკვეთილი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებია: პეტრას ციხე; მამუკას ციხე; ჩეხედანას ეკლესია; ხინოწმინდის მონასტერი, ფიჭვნარის ნაქალაქარი და სხვა.

მერიის მიმდინარე წლის ბიუჯეტი - 27 681 380 ლარი  
სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოების ცენტრის ბიუჯეტი - 1 159 310 ლარი (დაახლოებით 19% იხარჯება ქობულეთზე) ~220 268 ლარი, რაც ქობულეთის მერიის ბიუჯეტის - 0,8 %-ია

სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ქობულეთის განყოფილება

| N | საშტატო ერთეული                                                             | საშტატო ერთეულის რაოდენობა | ვაკანტური ადგილების რაოდენობა |
|---|-----------------------------------------------------------------------------|----------------------------|-------------------------------|
|   | ქობულეთის განყოფილება                                                       |                            |                               |
| 1 | პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ქობულეთის განყოფილების უფროსი | 1                          |                               |
| 2 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ეპიდემიოლოგი                           | 1                          |                               |
| 3 | მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი -ტექნიკური პერსონალი(მძღოლი)          | 1                          |                               |

ქობულეთის განყოფილება ექვემდებარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ადმინისტრაციას და რეკომენდაციებს ღებულობს ცენტრის გადამდებ დაავადებათა ზედამხედველობისა და იმუნოპროფილაქტიკის განყოფილების დარგის მთავარი სპეციალისტებისაგან.

| სამედიცინო-დემოგრაფიული მაჩვენებლები                                     |                                          |
|--------------------------------------------------------------------------|------------------------------------------|
| საშუალო შობადობა (აბს. რიცხვი)                                           | 1290                                     |
| ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა                           | 11                                       |
| ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა                                  | 9 ყოველ 1000 დაბადებულზე                 |
| ხუთ წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა რაოდენობა                           | 13                                       |
| 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობა                                           | 2,1 0-5 წლამდე ასაკის ყოველ 1000 ბავშვზე |
| გასული წლის მშობიარობათა რაოდენობა (რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებში) | 397                                      |
| მ.შ. საკეისრო კვეთების რაოდენობა                                         | 176                                      |

|                                                  |     |
|--------------------------------------------------|-----|
| საკეისრო კვეთების მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე | 136 |
| აბორტების რაოდენობა (გასული წლის)                | 216 |
| აბორტები მ. შ. სამედიცინო ჩვენებით (გასული წლის) | 200 |
| გარდაცვლილთა რაოდენობა (გასული წლის)             | 758 |
| 15-49 წლის ასაკის ქალის სიკვდილის შემთხვევები    | 2   |

| სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი                                        |    |
|------------------------------------------------------------------------|----|
| სტაციონარული დაწესებულებების რაოდენობა                                 | 2  |
| ამბულატორიების რაოდენობა                                               | 1  |
| სოფლის ექიმების (ფიზ. პირი) რაოდენობა                                  | 33 |
| სოფლის ექთნების (ფიზ. პირი) რაოდენობა                                  | 33 |
| ექიმებისა და ექთნების გარეშე დარჩენილი სოფლების რაოდენობა              | 0  |
| ექიმებისა და ექთნების გარეშე დარჩენილი სოფლების მოსახლეობის რაოდენობა  | 0  |
| ამცრელი (იმუნოზაციის) კაბინეტების რაოდენობა                            | 3  |
| ანტირაბიული კაბინეტების რაოდენობა                                      | 1  |
| ქირურგიული პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა                 | 29 |
| სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა      | 15 |
| თერაპიული პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა                  | 52 |
| ინფექციური პროფილის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა                 | 0  |
| რეანიმაციული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში საწოლების რაოდენობა | 9  |
| სასწრაფო სამედიცინო დახმარების პუნქტების, ავტო ტრანსპორტის რაოდენობა   | 5  |
| სისხლის გადასხმის კაბინეტების რაოდენობა                                |    |


**საწოლთა ფონდი 2017 წლის მონაცემებით**

|          | საწოლი | საწოლე<br>ბით<br>უზრუნვე<br>ლყოფი<br>ს მაჩვ. | საწოლდე | შემოსული<br>პაციენტი | გაწერილი | გარდაცვლი<br>ლი | დატვირთ<br>ვა | ბრუნვა | დაყოვნება | ლეტალ<br>ობა |
|----------|--------|----------------------------------------------|---------|----------------------|----------|-----------------|---------------|--------|-----------|--------------|
| ქობულეთი | 127    | 168                                          | 14665   | 3641                 | 3256     | 167             | 115,5         | 28,7   | 4,5       | 4,6          |

| საბავშვო და სხვა პროფილის დაწესებულებების (ობიექტების) რაოდენობები |    |
|--------------------------------------------------------------------|----|
| საჯარო სკოლები                                                     | 46 |

|                                                             |    |
|-------------------------------------------------------------|----|
| კომერციული სკოლები                                          | 4  |
| საბავშვო ბაღები                                             | 27 |
| კომერციული საბავშვო ბაღები                                  | 2  |
| უმაღლესი სასწავლებლები                                      | 0  |
| საშუალო ტექნიკური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები      | 1  |
